
ფასდაკლება

ერთ ქალაქში დიდ თანამედროვე შენობებს
შორის ცხოვრობდა ერთი ძველი სახლი.

ბოლო წლების განმავლობაში სახლი,
საგრძნობლად
შეილახა, მაგრამ მაინც
ძალიან ლამაზად
გამოიყურებოდა.












ამ სახლში, პატრონებთან ერთად, ბევრი ძველებურ


ნივთი ცხოვრობდა. ნივთები მოგონებებს

ინახავდნენ.






მშვენიერ მანდილოსნებზე,
რომლებსაც ლამაზი კაბები
ეცვათ.







ცხენებზე
ამხედრებულ
კეთილშობილ
მამაკაცებზე.

ყველაზე ხშირ ისტორიას გულის ფორმის ბარდახზე




ინახავდა. ბარდახშაში თავის დროზე ერთი ძალიან

ლამაზი ქალბატონი, სანუკვარ ნივთებს ინახავდა.










თეთრი ხელთათმანები, ელეგანტური მონოკლი, მარაო, ვარდის კამკმარი ჟურნალები და რამდენიმე გაყვითლებული ფოტოსურათი.



ძველი სახლის ადგილას ახალი შენობა ააშენეს,

მის ბინადრებს კი თანამედროვე

ბინები დაურიგეს. გადაბარგებისას გულის

ფორმის ზარდახშა გატყდა.


ნივთები ახალ ბარდახშაში გადაიტანეს. მათ
არ მოეწონათ ახალი საცხოვრებელი, მაგრამ
რა ქაეწყობოდა?


ზარდახშის ნამტვრევები ერთმა ისტორიკოსმა
ივოვა. ისტორიკოსს ძალიან მოსწონდა
ძველებური
ნივთები და მან
დამსხვრეული
ზარდახშა შეაწება.

მიუხედავად იმისა, რომ ზარდახშა ძველებურად
ლამაზი ალარ იყო, მას ძალიან გაუმართლა_მან
მუზეუმში განაგრძო ცხოვრება და ახლა
სიამაყით უყვება მეზობლებს ათასგვარ
ისტორიებს.